საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 2433 2018 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და Nordic Casemix ცენტრს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და FCG Prodacapo Finland Oy-ს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გასაფორმებელ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდგომში – სამინისტრო) და Nordic Casemix ცენტრს და სამინისტროსა და FCG Prodacapo Finland Oy-ს შორის „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამით“ (2018 წლის საბიუჯეტო ასიგნებები) გათვალისწინებული NordDRG-ისა და NordDRG-ის განმარტებითი ცხრილების (DRG-ის დაჯგუფების ლოგიკის) გამოყენების უფლების ლიცენზიისა და NordDRG Grouper პროგრამული გადაწყვეტილების (2018-

2022 წლებისთვის) ლიცენზიის სახელმწიფო შესყიდვების მიზნით გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის ფარგლებში გასაფორმებელ/გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში ისეთი სახის ცვლილებების/დაზუსტებების შეტანა, რომლებიც არ უკავშირდება ხელშეკრულებების მოშლის პირობების ან ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართლად უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს საკითხებს, არ საჭიროებს დამატებით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი

მამუკა ბახტაძე